ახალი გზა
ხელოვნების
ჟურნალი
№ III
იანვარი

ესსეები და თეთრებები

(ცვეტაევი შეიყვარეს)

63

1930



პ ო ე ზ ი ა

გრიგოლ იკოშვილი

კ ო მ უ ნ ა

სად მიტოვებულ სოფლის სივრცეზე ჭოტის კივილი ერთოდა ქარებს,
გავასხვაფერეთ ყოფა-ცხოვრება და იქ კომუნა დავასახლკარეთ.
სივრცე უხვია და თუ გვტანჯავდა ცვალებადობა ერთ დროს ბუნების,
კომუნის ძარღვებ მაგარ რკინის ხარს ვერ ღლის გაშლილი ხოდაბუნები
შესწყდა საბრალო ხარის ქლოშინი ქედმოცვეთილის გუთნით, ურმებით;
გვიახლოვდება შარავანდედი აჩრაღდნებულ ელსადგურებით.
გვწამს, რომ ნაღველი ველარ დაიპყრობს, მოსახლეობით დატვირთულ
ხევებს.
ჩვენ ლენინური სული გვინთია და პასუხს გავცემთ მტერს შხამის მთხე-
ველს.
ძმათ შეფიცული ხალხი კომუნის დაბრკოლებათა ნიაღვარს დავძლევთ
ქარხნის გმირებთან რომ ვისაუბროთ, ვმართავთ გორაკზე რადიო ანძებს.
და ერთ დროს ხალხი მიტოვებული მოვისმენთ მრავალ ქვეყნების ამ-
ბებს.
ჩვენი ცხოვრება არის დღეობა რაჩაკლავს ჩვენში ანთებულ ხალისს!
ვეწევით შრომას კოლექტიურად მშრომელი კაცი, მშრომელი ქალი
კლუბი, რადიო, სასწავლებელი, და ღირსეული თაობა ნორჩი.
მოსახლეობა ახალი სოფლის დიდი ხანია სიბნელეს მოვრჩით
ცეცხლი გვინთია ბოლშევიკური, ჩვენ მოვიპოვეთ რასაც ვნატრობდით.
მჭიდრო კავშირი ღარიბთა შორის ჰანგი ტრიერის, გრგვინვა ტრაქტო-
რის.
ჩვენ კომუნაში ღარიბ გლეხობას სიახლე როდი გვეუცხოება;
კომუნისტური სულისკვეთება, კომუნისტური ყოფა-ცხოვრება.
სალამი ქარხნის რკინის ძარღვებო, ჩვენ შორის დარჩეს კავშირი მტკიცე,
რომ ლენინურმა ლეგიონებმა ბოლშევიკური ავაგოთ სივრცე.

დ ი ლ ა

ვარდისფრად აკიაფდა წყნარი დილა, ტურფა დილა.
მზემ სხივები სტყორცნა არეს, გაუცინა, გაუღიმა.
აციმციმდა, აცქრიალდა მზის თვალება ცელქი ნამი,
ველს ეწვია ფერადოვანს მზის სიცილი, მზის სალამი.
ღამემ დილას გზა დაუთმო, თრთოლვით, ბრძოლით, კვნესით, შურით.
დილას ლხენით მიეგება ტყის ფოთლების შარი-შური.
ღამე გაჰქრა.. გზა მიეცით განთიადის ცეცხლის გედებს!
შრომის შვილნი გახსნილ გულით მზეს სიცილით მიეგებეთ.
თუმც ქარები გულმრისხანეთ განთიადის მკერდთან ჩრიან,
მაგრამ ჩვენ ხომ დრონდა ჟამის უძლეველი შვილნი გვქვიან!

Ы 868

Академия наук СССР
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

გრძელდება სოფლის მოსახლეობა, მოჯამაგირე, უღარიბესი.
დღევანდელობა სივრცეა სწავლის—მათ საარჩევნო ისწავლეს წესი.
კულაკს დააკვდა სახეზე ღიმი, მოჯამაგირე მიიხმო ახლო,
დაუწყო კვნესით პირფერობა რომ საარჩევნო ხმა განიახლოს.
რა სასაცილოდ მარცხდება მტერი! თავადი ტანჯვით სახეს იღრეცავს;
როცა შავ-სიელთ დასცინის ხალხი, ღვდელი მწუხარედ გაჰყურებს ზეცას,
გაიხსნა კრება შრომელ გლეხობის. მტრებმა განგაში თუმც დააპირა,
მაგრამ მშრომელთა იერიშებმა ისინი მალე გაიხაპირა.
თავმჯდომარეობს ღარიბი გლეხი. მშრომელთა შორის ვერ ნახავთ მწუხრებს
და პარტიული მასწავლებელი აქ საარჩევნო კითხულობს მუხლებს
დღე უკუღმართი წალმა დაბრუნდა და ბატრებს მოესპო ნება ბრძანების.
დარჩენ რიყეზე, განმარტოებით და ახრჩობთ ტალღა მშრომელთ ძალების.
სიტყვას მოითხოვს მშრომელი ქალი, კამათში გადის მოჯამაგირე
და გატაცებით ამთავრებს სიტყვას: „მტერო, იცოდე, დავთარს აგირევ!“.
მსჯელობს აქ გლეხი ულარიბესი:—ტაძრის შენობა გარდავქმნათ სკოლად
და თავადების სადარბაზონი გლეხკომის სახლად და აღმასკომად“.
კამათის შემდეგ ირჩევენ საბჭოს, ასახელებენ მიტოს და მიხას..
მივიდეს მტერი შავ სიის ახლო და თავის გვარს იქ ამოიკითხავს.
დე კულაკს დარჩეს ოცნება მშრალი, ვაჭარი ღეჭდეს ძველ დროის ნარჩენს
და ყველა მტერი ბოღმით დამხვრჩვალი დაცლილ ტაძარში ეველდროს „გამჩენს!“.
ძველებურ ღამეს ველარ მოესწრონ ეს საზიზღარი მყრალი მძორები,
ახალ ცხოვრებას მძლავრად სჭედავენ პროლეტარების დიდნი ბრძოლანი.

ფარისეველი საბჭოთა სოფელში

ლაქუცი და ღიმილი არ შორდება სახიდან,
დადის ვით მეგობარი ტკბილი და გულკეთილი.
სიტყვები მორიდებით მოცქრიალებს ბაგედან,
წინასწარ მოქარგული, წინასწარ მოკვეთილი.
მოვა და შემოგცინებს გულმხურვალე სალამით
და მტერსაც ეგებება მუდამ ასეთნაირად,
ამბობს:—„გულახდილი ვარ, რა მაქვს დასამალავი“.
და თან სახეს დაღმიჭავს, ვით დამსკდარი დაირა.
პირში მოლაქუცე და ზურგში ბოღმის ნთხეველი,
ბოროტ ღიმილს აცურებს ნაოჭიან სახეზე,
თუ იშოვა მიზეზი ხელზე დასახვეველი,
ხალხს საზიზღარ მიზნისთვის ამხედრებს და აქეზებს.
არ შეგრჩება, იცოდე, გქცევა ფარისევლური!
უკვე განწირულია შენი ფიქრი ველური!

მათე წიკლაური

ჩემი ჩანგური

მიყვარს ჩონგურის წკრიალი, სიმღერა იმის ხმაზედა,
თანაც ლექსების ამოთქმა ჩვენს ახალ ცხოვრებაზედა.
ბართ-ბურთში გამოხვეულთა ჭრელნი ჩავიცვით ტანზედა.
შევერთდით მთელი გლეხობა, ვმღერით ბულბულის ხმაზედა.
ძველი მათრახი დავგლიჯეთ, გადვაგდეთ შარა გზაზედა,
წითელი დროშა ავმართეთ, ავაფრიალეთ ცაზედა.
დავსწერეთ ჟურნალ-გაზეთი, გაუშვით გლეხობაზედა.
არ გვინდა ბურჟუაზია არც ლხინში არცა მკვდარზედა!
გავმართეთ კოოპერატივი ყველა სოფლებში მარჯვედა.
აღარ დაგვჭირდეს ოფლის ღვრა სათიბავ-მოსამკალზედა ;
მიდის და მოდის მანქანა—სჭრის და გადაჰყრის ძალზედა.
რაც ერთ დღეს მამაი მკიდა, მარტოკა მოვმკი წამზედა..
ამას ლაპარაკ არ უნდა, მეტია მამითადზედა!
მთელი გლეხის შვილი ვარ, გავე შირაქის ველზედა..
ძველი ცხოვრება მოვსპეთით, გადვედით კომუნაზედა.
ლენინის სახელს ვადიდებთ გლეხნიდამდგარნი ფეხზედა.
ტრაქტორს ვაზიარ უკვენარს, ღუღუნებს თავის ხმაზედა.
ვენაცვა იმის მუშასა, არავის მივცემ ფასზედა,
არც ვის ოქროზე დაუთმობ, არც გავცვლი სხვადასხვაზედა!

□□□□□□□□□□

ჯაქრო დოლიაშვილი

საგაზაფხულო

დღეს ჩაბმულია სხვაგვარ შრომაში
სოფლის ახალი მოსახლეობა
და ფეხს იკიდებს ყოველ კუთხეში
კოლექტიური მეურნეობა.
საგაზაფხულო თესვისთვის ყველა
აღფრთოვანებით ეგებებიან,
ქალაქიდანაც დამკვრელ ბრიგადებს
დასახმარებლად სოფლად ელიან.
როდესაც ველზე ადგება თოვლი,
გადმოეშვება ციდან სხივები,
შეესევიან ხნულს მანქანები
და ღარიბ გლეხთა კოლექტივები.
გადიფინება ისევ მანქანით
ნაწამლი თესლი ტრაქტორის ხნულზე.
ხოლო კულაკი, ამის მნახველი,
ბოღმა - ჯავრისგან გასკდება გულზე.
მაგრამ რას უზამს დღეს მათ კულაკი?
მისი ადგილიც მონახულია!
შრომით გაწაფულ მშრომელ ხალხისთვის
მოდის სხვაგვარი გაზაფხულია!

ევა გაბალაშვილი

შრომის შვილთ

შრომისა შვილნო, წინაპრებს ჰქონდათ დღეები შავები!
უსამართლობას ითმენდენ, ძირს დაეხარათ თავები.
მონობის ჯაჭვებს ათრევდენ გულ ჩამკვდარ განამწარები.
მონობის ჯაჭვი დაიმსხვრა და განადგურდა ტახტები.
მომავალისთვის იბრძოლეს, გახსნეს სიმართლის კარები!
სიმართლის გზასა მისდევენ, აღარ აქვთ შიშის ზარები.
იშრომეთ მუშა-გლეხებო თქვენს მკლავებს ვენაცვალე.
თქვენი ნაშრომი თქვენია, მოგშორთად შავი ძალები.
მიწა და წყალი თქვენია, ვერ შეგეცილონ სვავები!

გრიგოლ სოფლელი.

სოფლელი პიონერი

ჯერ კიდევ მახსოვს სოფლელ პიონერს
სოფლად ყოფნის დროს ჩემი ნორჩობა
ქალაქში წამსვლელს მენანებოდა
ტყე - ველი, მთანი მწვანე ქოჩორა.
ვიყავით ცელქნი, მოუსვენარნი,
დავქროდით ერთად როგორც ტყვი
წყაროს ლიკლიკი გვაჯადოებდა
არ ვშორდებოდით გარემოს ტყიანს.
შემრჩა ხალისი მოზარდ პიონერს
ძალა მაქვს უკვე ბრძოლის და შრომის.
მე, პროლეტარი, როგორც მრავალი
ვარ ჯარისკაცი მშრომელთა შორის.
აღმშენებლობის განადგურებას
მტერი გულღვარძლი თუ რომ ეცდება
ნორჩ ლენინელთა ძალა-მხნეობა
ბრძოლის ჭარბეცხლში გაასკეცდება.
შრომის სამყაროს თუ მოაწყდება
ქვეყნის მძარცველთა შავი ბანდები,
ბეცხლის ალებათ აღიმართება
ნორჩ პიონერთა ბარიკადები.
ვენ, ლენინელებს, გვიყვარს ხალისი,
ართ შეუდრეკი და დაუპყარი.
ალითნიან მებრძოლთა გულში
ია ლენინის ანდერძი ჰყვავის!

ტიტე სარიშვილი

წითელი ოქტომბერი

გაისმა ჩაგრულთ გუგუნი, სიმართლის მძლავრი ხმებია:
—შეერთებულად ვიბრძოლებთ, ყველა ჩაგრული ძმებია!
ამ დიად დღესა დაიმსხვრა ტანჯვა-მონობის ბორკილი.,
უკანონობის თარეში მოისპო, იქნა აღგვილი...
ჩირაღდანივით გვინათებს წითელი ოქტომბერია,
მტრის გამგმირავი ისარი, უსამართლობის მტერია.
ის არის მჩაგვრელთ ლახვარი, დაჩაგრულთათვის ლამპარი...
მისთვის თავს დასდებს გლეხობა—შრომის წითელი ლაშქარი
ჩვენი ჯოჯრიან ხელებით ვდგევართ მის სადარაჯოზე.
ოქტომბრის სხივი ნათელი მოვფინოთ მთელ სამყაროზე!

ახალი გურია

იყო დრო როცა ამ კუთხესა, როგორც სხვა მხარეს,
ბუნებრივ სახეს უჩრდილავდა მწუხრის ზეწარი.
დრო-გამოშვებით ალმოხეთქდა მშრომელთ გულიდან
ხმა — ნაღვლიანი—წამებისა, იგი მკვნესარი.
მდინარეები ლიკლიკებდენ ბარში ყრუ ხმაზე,
მას ბანს აძლევდა მოდუნებულ ხალხის სიმღერა,
ძნელად ისმოდა სიმართლის ხმის გამოძახილი
და ჩუმი იყო მშრომელ ხალხის გულისა ძგერა.
აჭარის მთები დაღვრემილად იცქირებოდა,
გაეხვეოდა მიდამოთი ხშირად სქელ ნისლში,
თითქოს გრძნობდაო, რომ მის არგვლივ მთელი ბუნება,
შთანთქმული იყო მოშხამულ და სევდიან ძილში.
დადგა დრო, როცა გურიამა მწუხრის ზეწარი
კოკონში დასწვა, სამუდამოთ ჩამოიშორა,
სევდის ხმის ნაცვლად ახმაურდენ ქარხნის ბორბლები,
მუშამ დარდები სამუდამოთ გულს განიშორა.
მძლავრმა გრიგალმა გადიქროლა ბახმაროს მთებში-
ნისლი - სიბნელე ჩაიღვრა უღრან კლდეებში,
მთვარის სინათლე შეიცვალა ელექტრო-ჩქერით
და ეს წალკოტიც გაეხვია მის ზღვა-სხივებში.
გადახვევია გლეხი მუშას აღტაცებულად,
ერთნაირ გრძნობით და აზრებით გამსჭვალულები...
სახეზე ხედავ თვითეულს, რომ პროლეტარიულად
სძგერენ იმათი ფოლადური მძლავრი გულები.
იმათ თვალებში წაიკითხავთ ახალ მოძღვრებას,
ნებას სტალინურს, პროლეტარულ სულისკვეთებას.
რა შეაჩერებს ძველის რღვევას, ხალხისა წინსვლას
და კოლექტიურ მძლავრ ხელებით ახლის კეთებას!

ჩემი სურვილი

არ მსურს დაღლილმაც მე მოვისვენო,
მოწმენდილ ცის ქვეშ წამოვწვე გარედ,
ფერად მთის ნიავს მკერდი ვუჩვენო,
ან ის ვიკმარო, რაც ოფლი ვღვარეთ.
არა, არ მინდა ცხოვრება ძველი!
ბუნებაც მინდა განახლებული!
აღარ მსურს მთვარე, მინდა ელ-ცეცხლი,
მით არე-მარე განათებული.
დეე ფრინველთა გალობის ნაცვლად
სოფლად მესმოდეს რადიოს ხმები,
ძმურ-სიყვარულის მედროშეთ გახდეს
სხვადასხვა სახის კოლექტივები.
დე კავ-გუთანის ძველ სამეფოში
მძლავრმა ტრაქტორმა დაიგრიალოს,
ძველმა ცხოვრებამ სასაფლაოში
უკანასკნელად სული დალიოს!

□□□□□□□□□□□□

ივანე მიგრიაული

ახალ სოფელს

ჩვენო იმედო გაზეთო, მიიღო სოფლის სალამი
ოფლშია ამოვლებული შენი გლეხური კალამი!
შენ გაგვინათე ბნელი გზა, გვასწავლე წიგნის ყადარი,
ვინ არის ჩვენი მოკეთე, ან ჩვენი მტერი სად არი.
სოფლის ჩარჩსა და წურბელას გამოუჩინე კბილია,
გულში რომ გველის ჩხამი აქვს—ისე კი ენა ტკბილია.
გვასწავლე ყანის მოყვანა, უკეთ ხმარება ბარისა,
დაიგუგუნა ტრაქტორმა და გული გაგვიხალისა.
შენი ასო და სტრიქონი ჩვენი ცხოვრების კვალია,
ვერც გვალვა რამეს დაგვაკლებს, ვეღარც წაგვახდინს კბილია.
ყველას წამალი გავიგეთ და მოვირჩინეთ ჭრილობა —
კლდესაც დაანგრევს რკინისას ცოდნა და გამოცდილება.
სოფელში როცა გაჩნდები, გლეხი დაიწყებს მღერასა.
ურთები შეგვესხა ღარიბებს, გულმა უმატა ლხენასა.
კიდევ იზარდე, იმრავლე, გზა გაგვიკაფე ხვალისა
და უკუჰყარე თო სადმე დარჩა სიბნელე ღამისა.

□□□□□□□□□□□□□

პ რ ო ზ ა

გიორგი ნიჩბელი

ი მ ე დ ი

ასრულდა ნატვრა გოგია ირემაშვილისა და მასთან სოფელ ჭინჭრიანის მოწინავე ახალგაზრდობისა და ღარიბ ბოგანოთა.

კვირა დილით სოფლის გადასახედში გამოჩნდა ტრაქტორი, შეჯავშნებული, გამოჩარხული პირქუში, რკინის რამ დევი. ჩამოიხმაურა სოფლის თავქვეზე, დააფრთხო საქონელი, გადმოსჭრა ხიდი, დადგა აღმასკომის კარების წინ ვრცელ ეზოში და თითქოს წარმოსთქვა:

— მე მელოდენ თქვენი პოხიერი მინდვრები, თქვენი ღარიბი ქოხები და თქვენი დაღალული მარჯვენა! მე გამოვიარე მრავალი დაბრკოლება და მაინც მოველი თქვენთან. მე ვარ შვილი ოქტომბრისა. თქვენი ძმა ვარ, თქვენი მეგობარი ვიქნები მუდამ!

მთელი სოფელი შემოეხვია რკინის მხედს. დედაკაცები გამორბოდენ ბავშებით ხელში, მოხუცები ყავარჯნებით ეშურებოდენ.

სოფელს ესტუმრა უცხო სტუმარი, ჯერ არნახული, საკვირველი, უცნაური...

გოგია ირემაშვილს პირზე ნათელი გადასდებოდა. გულში ბედნიერების გუბე ჩაუდგა. ტოკავდა, ღელავდა, ხელებს იფშვნეტდა. მისი ამხანაგებიც ასე ბედნიერები არასდროს არ ყოფილან... რამდენი სიხარული მოუტანა მათ დღეს ტრაქტორის შემოსვლამ!

მაგრამ ახირებული გამოდგა ჩვენი სტუმარი, პირქუშად, მრისხანეთ შეხედა მან ზოგიერთებს, თითქოს იცოდა ხალხის გარჩევა, საკვირველია, საიდან იცნობდა იმათ, როცა სოფელში ჯერ ახლად იყო მოსული!

რად შეცახცახდა ნამამსახლისარი ივანე? თითქოს რაღამაც გაგმირა მისი გული, თითქოს რაღაც ჩასხურდა გულში, უკანასკნელი იმედიც სადღაც გადიკარგა შორს, შორს, ბნელეთში.

რა მოუვიდა მდიდარ გლეხს ნუგზარას? ისე უყურებს, თითქოს ტრაქტორი კი არა, წინ ერთად-ერთი შვილის პეტრიას კუბო უდევსო?

რა მოუვიდათ სხვა კულაკებს: სოსიას, ციფოს, არსენას? ნახტრაჟნიკალ დათუკას, დიაკვან ტოტიკოს, კუდაბზიაურ იოთამეს? რამ გააშეშა ეს ხალხი?

***

სოფელ ჭინჭრიანში იმ დღეს სხვა რაღა იყო სალაპარაკო? სოფლის განაპირას ნამოჯამაგირალ თედუას ქოხში ლაპარაკი მოისმოდა:

— დედი, ტრაქტორი მოგვივიდა,! ხვალ ჩვენს ყანაში გამოვა: ხელით გაგიყვან მინდორზე და დაგანახვებ. ისეთია, ისეთი რომ.. ორმოცი წელიწადის სიბერე ჩამოგეწერება!..

—რაო, ბიჭო თედო, რა არის, გენაცვალე. რა ღრიანცელი იდგა დღეს, მტერი ხო არ შემოვიდა? ერთი ასეთი

ალიაქოთი მაშინ იდგა. ჩემს ბავშობაში მტერი შემოესია ჩვენს სოფელს და ძლივს გადავირჩინეთ თავი.

— რის მტერი, დედიჯან! არაფერს გეტყვი, არაფერს, ხვალამდე მოიცადე და მაშინ ნახავ.

**

პიონერი ვახტანგი — პატარა ცქვიტი ბიჭი—ეხვეწებოდა მამას:

— მამი, ხვალ ნუ გამგზავნი ხბორებში, ტრაქტორის მუშაობას უნდა ვუყურო დილაზე.

კომკავშირელი რამაზა ეუბნებოდა თავის დას:

— გოგო თეკლე, შენ გახარებას ერთი ის ხალათი გამირეცხე, დილაზე უნდა ავამუშაოთ...

— რას ამბობ ბიჭო, თუ მინდორში სამუშაოთ გახვალ, სუფთა ხალათი რაღათ გინდა!

თეკლე მართალი იყო, მაგრამ რამაზაც ხომ მართალი იყო? ხვალინდელი დღე რამაზასათვის უბრალო მინდვრის მუშაობა კი არაა, არამედ ზეიმია, მინდვრების დღეობაა!.. ეს კი ველარ გაეგო თეკლეს...

**

— კოლექტივმა ტრაქტორი მოიტანა! ხვალიდან ხვნა უნდა დაიწყონ ჩვენს ხოდაუბნებში, კერატიონში! — ეუბნებოდა ბრაზმორეული იოთამე თავის მეუღლე მაგდანას, რომელიც სათამაშო ქალალდს შლიდა.

— უი, მეხი კი დავაყარე მაგათ თავსა! ერთი რაღაცა მოაგდეს და მთელი სოფელი შეყარეს, ვითომ რაო?

— რაო და ჩემს მამულში რო შევა ის ტრაქტორი, ისე მგონია ჩემ ძვალსა და ხორცს გასრესავს, გაიტანს...

— ეგენი მალე წავლენ და ეგ ტრაქტორიც ჩვენ ხოდაბუნებთან ერთად ისევ ჩვენ არ დაგვრჩება?

— ოლოლ, ვინ გითხრა?

— ვინა და აი ქალალდმა მითხრა.

— ეგ ქალალდი სულ ასე ყბედობს ათი წელიწადია...

— შე საწყალო, საღეთო წერილი არ გახსოვს? იქ სწერია: „წინაშე ღვთისა საუკუნენი ერთი წუთიაო!“

— ეგ მართალია, მაგრამ ხუთ-ხუთი წლის სიცოცხლე-ღა დაგვრჩენია და თუ კი მე არ ვაქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა...

— შენ სულ ეგეთი ურწმუნო ხარ. აი დღეს არა სწერია თურმე გაზეთში, ჩინეთი ხელმწიფემ შემოუთვალა თურმე ბოლშევიკების ხელმწიფესაო...

—შე სულელო, ბოლშევიკებს ხელმწიფე სად ჰყავთ?!..

— იჰ, შენ გენაცვალე, სად დავიხსომო მაგათი სახელები, მე ძველი ადამიანი ვარ და უხელმწიფოთ ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს...

— ჰო და—განაგრძო მაგდანამ, — ასე შემოუთვლია: გავიგე თურმე თავად-აზნაურებს ძალიან აწუხებო; 10 დღის ვადა მომიცია, თუ ამ ხანში ყველა მამულები, სახნავი, სათიბი, საძოვარი, ტყე, წყალ - წისქვილი, უძრავ-მოძრავი არ დაგიბრუნებია, სულ შრეს გაგადენო.

იოთამს სახე გაუბრწყინდა:

—მაშინა ნახავ ჩვენ მეღორეს გოგია ირემაშვილს რო გავგზავნი ისევ ღორებში. რა მაგისი საქმეა სოფლის მეთაურობა?

ამ ლაპარაკზე კარის კაკუნი გაისმა.. იოთამე შეკრთა.. გული აუკანკალდა.. მაგდანოს ტუზიანი შერჩა ხელში..

—რომელი ხარ? თრთოლით წარმოსთქვა იოთამემ.

—მე ვარ კნიაზო, ფოფოდია...

—უი, ღმერთმა გიშველოს ფოფოდიაჯან! მე კი კაცად აღარ ვარგივარ და... შემეშინდა, მე მეგონა ირემაანთ გოგია მოვიდა მეთქი.

—აქა მშვიდობა! რა დაგემართა კნიაზო?!.. ასე უბრალო რამეზე შეშინება როგორ შეიძლება. მთელ სოფელს შენი ვაჟკაცობის იმედი აქვს.

— მთელი სოფელი ჩემით სცოცხლობს ფოფოდი, მართალია, მაგრამ, ხომ იცით რა დროა ეხლა? ხმალი და ვაჟკაცობა ველარას გიშველის, — წარმოსთქვა იოთამემ და შეკრთა... შეკრთა, რადგან თურმე ფოფოდიასი შეეშინდა...

— გაიგე კნეინავ, ტრაქტორი მოუტანიათ მაგ გასაწყვეტლებსა... ასეა

ღვდელი გამწარებული, რომ ავათაც გახდა... იქნება ცოტა მოცვი გვასვნოთ, ოფლის მოსადენათ...

— უი, ფოფოდიაჯან, სადა გვაქვს მოცვი, ხუთი წელიწადია იმისი ფერიც აღარ მინახავს. იოთამესაც ხშირად სჭირდება, მაგრამ სად უნდა იშოვნო? გოგო - ბიჭებს აღარ მოაქვთ ჩვენთან...

— სად იშოვნი მოცვსა ფოფოდია! „გრანიცები“ შეჰკრეს, მაგ გასაწყვეტლებმა, მოცვი რა არის, იმასაც ვერ იშოვნი, — ამოიოხრა იოთამემ.

— ნუ გეშინიან ფოფოდი, ღვდელს მოახსენე, რომ ხუთი თვეც მოიცადოს და მოცვიც მოგვივა და კამილავკაცთქო!...

— უი შენ გენაცვალე კნეინა! ლამის ღვდელი გათავდეს და ხუთი თვე როგორ უნდა დაიცადოს?..

იმედგაცრუებული ფოფოდია ის იყო წასასვლელად მოემზადა, მაგრამ რაღაცა მოაგონდა, შალი მხრებზე გაისწორა, აქეთ-იქით მიიხედა და დაიწყო:

— საკვირველი სიზმარი ნახა წუხელის ღვდელმა...

— რაო?—ცნობის მოყვარეობით შეეკითხენ ღვდლის ცოლს იოთამე და მაგდანო.

— ვითომ, გენაცვალე, საყდარში ვწირავდიო... მარიამობა იყოო... მთელი ეკლესია სავსე იყო მლოცველებითო, ეზო კი სავსე კურატებითაო.

— მეც იქ ვიყავი, თუ არა, რა ეძინა ღვდელმა?—იკითხა იოთამემ.

— ჰო, როგორ არა! მართალია ღვდელს არაფერი უთქვამს, მაგრამ იქ იქნებოდით, მაგას რა ლაპარაკი უნდა? პირველ რიგშივე გეჭირებოდათ ადგილი...—ცბიერად უპასუხა იოთამეს ღვდლის ცოლმა.

— მერე?

— მერე და უცბად ეკლესიაში შემოვიდა დიდი კაცი რკინისა, ვეება, ახმახი და დაერია ხატების წინ რაც ტაბლა იდგაო და სულ უსუნთქებლივ შეყლაპაო. მერე დაჯრია მლოცველებს, კურატებს. ისიც შთანთქაო, გამომაგდო მეც და საცეცხლურიანათ მეც პირში ჩამიდოო... მაგრამ უცბად დაიხრიალაო, გავარდა კარში და მთლიანათ დაიმსხვრაო, ნაფოტ - ნაფოტათ იქცაო.

— უი, შენი ჭირიმე, ეგ რა უნდა ყოს?

—მე გამოვიცანი! — წარმოსთქვა იოთამმა.

— რასა ნიშნავს?—შეეკითხა მაგდანო.

—ტრაქტორი, ტრაქტორი... ტრაქტორი რკინისაა... ის კაციც ხომ რკინისა იყო?

— მართალია, მართალი! აღტაცებით წამოიძახა მაგდანომ, მაშ ეგ ტრაქტორიც ისე ნაფოტ - ნაფოტათ დაილეწება, ვენაცვალე ღვთის მადლსა!

— ჭკუასთან ახლოა—წარმოსთქვა ფოფოდიამ, — მაგრამ ღვდელმა სხვანაირად ახსნა.

— როგორაო?

— ისე, რო იმ რკინის კაცმა მე რო ჯერ ტაბლები შემიჭამაო და მერე თვითონაც ჩამყლაპაო, ბალშევიკების მთავრობააო, მერე რაკი ის კაცი დაიმსხვრა, ეს მთავრობაც ისე დაიმსხვრევაო...

— ოჰ, ვენაცვალე ღვდელს შუბლში!—წამოიძახა იოთამემ.

— ღვდელს ხელზე მთხვევნა მოახსენეთ! — წასვლისას დაუბარა კნეინამ. — უთხარით ხშირ - ხშირად ნახვდეს მაგისთანა სიზმრებსა-თქო!

***

ტრაქტორი „გლეხის იმედი“ წითლობის ახოებში გაეგზა სამუშაოდ...

წინ მიდიოდა რკინის დევი, უკან ჰისდევდენ ახალგაზრდები, გოგო-ბიჭები, კოლექტივის წევრი გლეხები.

ტრაქტორმა ხარბად ჩაყლაპა კბილოები მიწას, შიანგრია ყადიმი, ახალგაზრდობა კი სიმღერითა და ყიჟინით მისდევდა...

გადახსნა მიწა, გადააბრუნა, აშავდა მიწა, აბელტდა... ერთი მიწიდან მეორე მიწაზე გადავიდა, ერთ ღლიურს მეორე ღლიური მოჰყვა...

ასეთი დღე არ ახსოვს სოფელს.

საწყალი ძველი გუთანი! თავისი შვიდი ყევარი გუთნეულით, გუთნის

დედით, სახრეებითა და ლანძღვა-გინებით!..

—ისმოდა მხიარული ხმები:

— რა ყოფილა, შენ გენაცვალე!

— მართლაც მდევი ყოფილა, მდევი!

— ტყუილად კი არა ქვია „გლეხის იმედი“!

— ვენაცვალე ჩვენ „იმედას“.

ერთ კვირაში ტრაქტორმა გადაამუშავა როგორც იოთამეს ყოფილი ხოდაბუნები, ისე ღვდლისა და სხვა კულაკების მიწები. იოთამე აშ ერთ კვირაში არ გამოსულა ჯგავრით. ღვდელი კი ისევ ლოგინში იწვა ავადმყოფი.

შინდარის ღელეში ხვნის დროს, ტრაქტორი რატომღაც შედგა და აღარ დაიძრა.

შუადღიდან საღამომდე ვერაფერი მოუხერხეს... კოლექტიველებმა ტრაქტორი საღამოზე დატოვეს მინდორში და სახლობში წამოვიდენ აშ ფიქრით შეწუხებულნი:

— ვაი, თუ ტრაქტორი გაფუჭდაო!

ახლა მეორე ბანაკს გაუთენდა ალდგომა სოფელში.

— აკი ჩვენ გუთანსა სჯობიაო! დადგა და ვეღარც დასძრეს! — დაცინვით ამბობდა კულაკი ნუგზარა.

—„იმედამ“ ვერ უიმედათ! — ხარხარებდა ნადიაკვნარი მარტია.

— თავადო, შენ აჯობე ღვდელს სიზმრის ახსნაში! — შესძახა მაგდანომ ქმარს.

— მა რა მოუვიდოდა მაგ სატიალეს! ჩვენი მიწების გადახვნა რომ დაიწყო, სწორედ იქ შეეჭრა კბილი — იძახოდა გახარებული ფოფოდია.

— ჰაი დედასა! კარგათ კი მოსწყუდათ წელები! ვენაცვალე ღვთის სამართალსა! — ამბობდა პირჯვარის წერით ავადმყოფი ღვდელი...

მაგრამ მეტად ხანმოკლე იყო მათი სიხარული.

ტრაქტორს ერთი პატარა ნაწილი რღნავ დაუზიანდა ქვანარიან მიწაში. მის გამოკეთებას ერთი საათი სჭირდებოდა მხოლოდ...

გოგია ირემაშვილი და კოლექტიველები არ შეშკრთალან... იცოდნენ რამიაც იყო საქმე... სახელდახელოდ ცხენზე გადასვეს კომკავშირელი ბასილა ტრაქტორების სადგურში გასაგზავნათ და ოსტატის დასაძახებლად...

***

გზის პირად დამდგარსა და გაბუტულ ტრაქტორს აგიტკოლონის რაზმი უახლოვდებოდა...

— ვინ არიან ნეტავი ჯგუფად რომ მოდიან? — გზისაკენ გახედა გოგიამ.

— ვინ უნდა იყვნენ? ერთიც კი არ არის ნაცნობი!

აგიტკოლონის რაზმელები თანდათან მიუახლოვდენ ტრაქტორს. იმათი გაჩენა და ვაშას ძახილი ერთი იყო. დატრიალდა ოსტატი. დაჰკრა ჩაქუჩი, ჩან თიდან რალაც რკინა ამოიღო, ეკირკიტა, ეკირკიტა... კიდევ მეორე რკინის ვინტი მიიშველა და ტრაქტორი ახმაურდა, აგრგვინდა, დაიძრა... ფეხებში მოდებული მიწა ახვეტა, აჰყარა და შეცურდა მიწის გულში...

— „იმედა“, ჩვენი იმედა! აღტაცებით იძახდა გოგია ირემაშვილი.

—„იმედამ არ გვიმტყუნა! — იძახოდენ კოლექტიველები.

სოფლამდის მისწვდა „იმედა“-ს ხმა და კოლექტიველების ხმაურობა.

განაპირა ქოხებიდან მორბოდენ კაცები, ბავშები და დედაკაცები და ხარბათ შეჰყურებდენ „იმედა“-ს გამარჯვებას.

სოფელში კი ნუგზარები და ძმანი მისნი ისევ შხამით იცხებოდენ. ბოლმა ახრჩობდათ. იოთამეს კი ეჩვენებოდა, თითქოს ტრაქტორი მის მკერდსა ხნავდა. ღვდელს კი ისევ სიზმარში ეგონა თავი და თითქოს ხელმეორედ ჰყლაპავდა მას სიზმრად ნანახი რკინის კაცი, მაგდანოც დადუმებული იყო, გამტკნარებული ხმას ვეღარ იღებდა.

ჭირტა ბარიძე

კოლექტივის ზეიმი

თეთრად შეფეთქილი და შეფერადებული ორსართულიან სახლი, და ჩუქურთმებული გრძელი აივნით, კოხტად და მომხიბლავად გამოიყურება.

არ იფიქროთ, რომ ეს სახლი იყოს ალმასკომის, სასამართლოსი ან სხვა დაწესებულების. არა, ეს სოფელ ველუანის კოლექტივის „კოლექტიური ძალა“-ს საერთო საცხოვრებელია. ერთი წლის წინედ ამ ადგილას ნახევრად მიწაში ჩაფლული, რამდენიმე უბადრუკი გომური თუ ქოხი იყო ჩამწკრივებული: ბნელი, ნესტიანი, დაბალი...

ეხლა კი...

და თქვენ რომ ჰკითხოთ დათას, ხელმძღვანელს კოლექტივისას, თუ როგორ, რა საშუალებით ამართეს ეს სასახლე, ის არც კი დაფიქრდება და მაშინვე მოგცემთ პასუხს, პასუხს მოკლეს, მაგრამ გონიერს:

— ასე იცის ამხანაგო, შეერთებულმა ძალამ!

და განა დათა სცდება? არა!

დათა არც თუ უცილო ვინმეა, მას წითელი არმიის სკოლა აქვს გავლილი და პოლიტიკური ანაბანის კარგი მცოდნეა.

დათამ ჯარში, საგანგებოთ შეისწავლა კოლექტივიზაციის საქმე, აღიჭურვა ცოტაოდენი აგრონომიული ცოდნით და როცა დაბრუნდა ველურანს უკვადო შვებულებაში, გატაცებით ხელი მოჰკიდა კოლექტივის მოწყობის საქმეს.

ეს იყო შარშან. დღეს კი „კოლექტიური ძალა“-ს არსებობის წლისთავს ზეიმით იხდის და თანაც მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს აწყობს.

მოვიდენ სტუმრებიც ქალაქიდან: ქარხნის მუშები. მოგროვდენ კოლექტივის გარეშე მყოფი ადგილობრივი გლეხებიც.

კოლექტივის წევრებს სახე უბრწყინავთ, ზეიმობენ და ხარობენ.

კოლექტივის უხუცესი წევრი, ნაძვის მოკაუჭებულ ჯოხზე დაყრდნობილი, დინჯათ უყვება მის გარშემო შემოსეულ ნორჩ თაობას, რომ ძალა ერთობაშია, რომ სოფლის მიწა - წყალიდან სამნები უნდა ამოიგდოს.

ამას მოხუცი ისეთი გულწრფელობით, დაჯერებით და ტკბილ ხმით ამბობს, რომ ბავშვების დაუდგრომელ ბუნებასაც კი იპყრობს და იმორჩილებს.

საზეიმო კრება, ვეებერთელა ცაცხვის ქვეშ დათამ გახსნა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან. ხმაში მღელვარება ეტყობოდა — დღეს ჩვენ ორმაგი ზეიმი გვაქვს. ვზეიმობთ კოლექტივის წლის თავს და ვატარებთ კოლექტივიზაციის და მოსავლის დღეს. ჩვენებურმა გლეხებმა იციან, თუ როგორის წვალებით, უთვალავი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, შეესძელით დაგვეარსებია „კოლექტიური ძალა“. მაშინ ჩვენთან იყო სამი კომლი, დღეს კი კოლექტივში გაერთიანებულია 11 კომლი, რასაკვირველია ეს ამხანაგებო მიღწევაა, მაგრამ სრული არ იქნება ჩვენი გამარჯვება, თუ მარტო რიცხვს გავყევით, ხოლო ჩვენი მუშაობის თვისება და ღირსება კი დავივიწყეთ.

— ამხანაგებო. დააბოლოვა მომხსენებელმა, — თუ მიმდინარე წელს ჩვენ შევძელით 150 ფუთი პურის მოლეება, დღე მომავლისათვის ეს რიცხვი გაორ-

ქეცებულიყოს. ამას კი კოლექტიური ძალის სრული დაჭიმვით შევძლებთ!

გაისმა ტაში: მჭუხარე, რომელშიაც იყო ჩაქსოვილი აღფრთოვანება, გრძნობა გამარჯვებისა!..

დათა ტაშს არ იკუთვნებს.. იმის აზრით, ის მას არ ეკუთვნის—ეს ტაში, მთელი კოლექტივის ჯილდოა.

სალაპარაკო ადგილი ხნიერმა, მაგრამ ჭარმაგმა მუშამ დაიკავა. მისი სიტყვები დამსწრეთ ეფინებოდა ისე, როგორც ჩაქუჩის დარტყმით ლითონიდან გამოღებული ხმები. ის ლაპარაკობდა და უნებლიეთ იშველიებდა მაჯვენა ხელს, რომლის ჰაერში შეთამაშების დროს ჩანდა მასზედ აღბეჭდილი ყოჯრები.

— ჩვენი ქარხნის პროლეტარების სახელით მოგესალმებით მხურვალეთ და გიძღვნით ამ მცირე საჩუქარს, — მან რალაც ორკუთხოვანს მოხსნა შემოხვეული წითელი საფარი და გადასცა. ეს იყო რადიო – მოწყობილობა. გისურვებთ წარმატებას მეურნეობის ყოველ დარგში. გისურვებთ ხვავრიელ მოსავალს! გაუმარჯოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას!

— გაუმარჯოს!..


— გაუმარჯოს!..

—ვაშაა! — იგრიალა ხმებმა ზანზარით.

ერთმა ამხანაგმა დამსწრეთ წაუკითხა ხუთი ღარიბი მოსახლის განცხადება. ისინი სურვილს გამოთქვამდენ კოლექტივში შესვლაზე.

ზეიმი გრძელდებოდა.

შორიდან ველუანის კულაკები ამ სურათს უცქერდენ და ბოღმით ივსებოდენ, თვალებიდან ცეცხლს ყრიდენ და ბრაზობდენ, მაგრამ ძალის ღრენა ღობეს რას დააკლებდა!



სწარმოეგზა ხელის მოწერა 1930 წლისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო საგაზეთო გაზეთი

„ახალი სოფელი"

გავრცელდება კვირაში ორჯერ: ხუთშაბათობით და კვირაობით

1930 წლის ხელისმომწერნი უფასოდ დამატებად მიიღებენ ილუსტრირებულ იუმორისტულ ჟურნალს „შოლტს"

და თვითეულ ორკვირიანზე ლიტერატურულ დამატებას წიგნაკის სახით

ხელმოწერის პირობები: ერთი წლით — ორი მანეთი | ექვსი თვით — 10 აბა. | სამი თვით — 1 მან. 20 აბა. | ერთი თვით — 30 აბა.

გაზეთის გავრცელებისათვის ყველა თემს სოფლის მასწავლებლებს ორგანიზაციებსა და კოოპერაციის გამგეებს, გლეხკომებს, ყოველგვარ მუშაობას, გლეხობას, კოოპერატიულ მუშაობას, კოლექტივის ხელმძღვანელებს ან თვით ყველა ეძებს.

გაზეთ „ახალი სოფელის" გავრცელებაზე გაწეულ მუშაობას მუხლებად მიიღებს ორგანიზაციის მიერ, რომელიც უფრო მეტ ხელს შეუწყობს გაზეთის გავრცელებას.

გაზეთის ხელმოწერის ფასი და ძველებურ 10 პროცენტიანი ფიზიკური ფული.

ხელმოწერის ფასები ყველა ადგილას, ტელეგრაფებში, პოსტებში, ფოსტა-ტელეგრაფის ოფისებში და სხვა სოფლის მუშაობაში. — ფულიანად თვითეული გაზეთის.

„ახალი სოფელის" ადრესი ტელეგრაფისათვის: ტფილისი, „ახალი სოფელი".

ტფილისში ხელმოწერა არსად არაა გაზეთი არ დაირიგება უნაზოთოდ.

გაზეთის ადმინისტრაციის მუშაობა ხელმოწერის გაზეთის ხელის მოწერისა აღემატება 100.000-ზედ უნდა მიიღონ.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, მოლოტოვის ქუჩა № 11

ტელ. 15—38

„ახალი სოფლის" კანტორა

ა 984 ს
1930

„ახალი სოფელი“-ს ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და გამოვიდა:

1. ბრძოლის და შრომის სიმღერები გ. ჭუჭიშვილი.
2. მოთხრობები ნ. ზომლეთელი და სეზმან ერთაწმინდელი.
3. ციცინო გურიელი ს. კლდიაშვილი.
4-5. უცხოეთის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწენი.
6. ღონისძიებანი მეცხვარეობის აღორძინებისათვის.
7. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზა ი. სტალინი.
8. გავადიდოთ მოსავალი.